

შპს „შატო მერე“-ს ფინანსური ანგარიშგება
31.12.2018-ის მდგომარეობით

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2018 წლის მდგომარეობით

	შენიშვნა	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები		55,074	74,562
სავაჭრო მოთხოვნები		29,290	36,739
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		34,326	31,914
მარაგები	3	124,973	54,985
- მზა პროდუქცია			
- სხვა		124,973	54,985
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები		47,076	23,532
ბიოლოგიური აქტივები		-	-
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4,5	3,112,845	2,354,357
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები		3,403,585	2,576,089
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება	6	59,331	58,443
სავაჭრო ვალდებულებები		475,673	619,728
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	9	66,323	43,623
საგადასახადო ვალდებულებები		23,568	21,807
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		1,953,316	657,616
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		155,000	305,530
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები		17,333	5,860
სულ ვალდებულებები		2,750,543	1,712,608

საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		513,890	917,890
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		139,153	(54,408)
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი		653,042	863,482
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3,403,585	2,576,089

ფორმა N2- სრული შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 31.12.2018 წლის მდგომარეობით

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები	1,730,580	1,668,586
საქონლის გაყიდვიდან	93,395	9,076
მომსახურების გაწვიდან	1,637,185	1,659,510
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა		

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(377,040)	(409,124)
საწყისი მარაგები	54,985	55,689
მარაგების შესყიდვა	423,294	390,123
გადამუშავების დანახარჯები	23,734	18,297
საბოლოო მარაგები	124,973	54,985
საერთო მოგება	1,353,540	1,259,462

სხვა შემოსავალი		10,882	12,145
დასაქმებულთა ანაზღაურება		(353,474)	(322,547)
ცვეთა და ამორტიზაცია	5	(199,006)	(165,681)
საპროცენტო შემოსავალი:			
საპროცენტო ხარჯი :	7	(159,623)	(75,767)
იჯარის ხარჯი		(7,271)	(7,292)

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	8	(369,798)	(255,721)
სულ საოპერაციო ხარჯები		(1,078,290)	(814,862)

საოპერაციო მოგება		275,250	444,600
-------------------	--	---------	---------

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		(82,572)	28,162
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		882	288
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		193,561	473,050
მოგების გადასახადი			
მოგება/(ზარალი)		193,561	473,050

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)			

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		863,482	829,332
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		193,561	473,050
კაპიტალის სხვა ცვლილებები		404,000	438,900
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		653,042	863,482

1. ზოგადი ინფორმაცია

„შატო მერე“ (შემდგომში „კომპანია“) არის 2014 წლის 23 ივნისს დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია საქართველო, ქ.თელავი, სოფ.ვარდისუბანი.

კომპანიის საქმიანობაა სასტუმრო-სარესტორნო მომსახურება.

2017 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „შატო მერე“-ს 51%-იანი წილის მფლობელია იგორ ანდრონოვი, ხოლო 49%-იანი წილის მფლობელია გიორგი პირადაშვილი.

ქვემოთ მოცემულია საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მიმართ.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

შემოსავლები და ხარჯები აღირდება დარიცხვის პრინციპით.

ამონაგები საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება მომსახურება და საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

სავაჭრო მოთხოვნებთან ადკავშირებულ დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რომ დადგინდეს, არეობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არის თუ არა ამოღებადი. იმ შემთხვევაში, თუ ეს თანხები არ არის ამოღებადი, მისი კორექტირება ხდება მოგება-ზარალზე.

სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება წმინდა შემოსავალი(დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან.

საზოგადოების მოქმედი ვალუტა არის და შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად გამოყენებულია ეროვნული ვალუტა - ლარი, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

3. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებასა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება პირველი შემოსავალი-პირველი გასავალი (fifo) მეთოდით.

4. ძირითადი საშუალებები

დასახელება	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები	მანქანა- დანადგარები	მოწყობილობები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო სასაშუალებები	სულ
თვითღირებულება 01.01.2018	125,570	186,849	1,913,702	180,457	93,608	191,987	17,625	2,709,798
შემოსვლა		677,530			6,282	176,644	101,038	961,494
გასვლა							12,000	12,000
ნაშთი 31.12.2018	125,570	864,379	1,913,702	180,457	99,890	368,631	106,663	3,659,292

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთის შემცირებული თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ცვეთის დარიცხვის საპროცენტო განაკვეთებია:

შენობა-ნაგებობები - 5%

მანქანა-დანადგარები - 8%

კომპიუტერული ტექნიკა, ავტომანქანები, ავეჯი და სხვა - 20%

5. დაგროვილი ცვეთა

დასახელება	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები	მანქანა- დანადგარები	მოწყობილობები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო სასაშუალებები	სულ
დაგროვილი ცვეთა 01.01.2018	-	-	212,525	288,00	31,111	72,593	10,412	355,441
წლიური ცვეთა	-	-	95,685	14,437	19,093	52,332	17,458	199,005
გასული აქტ.დაგრ.ცვეთა (-)	-	-					8,000	8,000
დაგროვილი ცვეთა 31.12.2018	-	-	308,210	43,236	50,204	124,926	19,871	546,447

6. ფინანსური იჯარის ვალდებულება

ვადები	2018	2017
1 წლამდე	8,538	55,735
1-4 წლამდე	48,466	-
5 წლის შემდეგ	2,327	2,708

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, როცა იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკის და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარეზე, დანარჩენი ყველა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად. საოპერაციო იჯარის შემთხვევაში საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით იჯარის ხელშეკრულების ვადების შესაბამისად.

კომპანიას ფინანსური იჯარით აქვს აღებული ძირითადად ავტომანქანები და დანადგარი. ფინანსური იჯარის ხელშეკრულებების უმეტესობა არის 3 წლიანი ვადით.

7. საპროცენტო ხარჯი

ბანკის სესხის პროცენტი

2018 წ. / ლარი/	2017 წ. /ლარი/
143,276	62,218

ფინანსური იჯარის პროცენტი

2018 წ. / ლარი/	2017 წ. /ლარი/
16,347	13,549

ბანკის სესხი უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული კომპანიის უძრავი ქონებით.

ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მათთან დაკავშირებული ვალდებულება შესრულდება, გაბათილდება ან ამოიწურება და თუ მისი პირობები არსებითად შეიცვლება.

8. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები

დასახელება	2018 წ	2017 წ
ტრანსპორტირება და შენახვა	35,562	38,303
საოფისე ინვენტარი	32,870	15,629
კომუნალური და კომუნიკაცია	90,956	69,391
საგადასახადო ხარჯი	25,093	21,233
სხვადასხვა	185,317	111,165
სულ:	369,798	255,721

ადმინისტრაციული და სხვა ხარჯების ძირითადი შემადგენელი ნაწილები წარმოდგენილია აღნიშნულ პერიოდში ცხრილის სახით.

9. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ვალდებულება

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

დასახელება	2018 წ
ვალდებულება 2018 წლის 1 იანვრისთვის	43,623
დამატებით დარიცხვა წლის განმავლობაში	353,474
გადახდა წლის განმავლობაში	330,774
ვალდებულება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	66,323